№ 173 19 აგვისტო, ხუთშაბათი. 1866—1882 19 აგვისტო, ხუთშაბათი. № 173.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ-თაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | |
|---|---|
| ერთის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან |
| ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ხუთის თვის ხელის-მოწერა.

პირველის აგვისტოდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

„დროება"

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

გორი, 18 აგვისტოს. დუმამ გარდასწყვიტა შესწიროს ხაზინას სამასი მანეთი რეალურ სასწავლებლის შესანახავად.

(„სიევერნოე ტელეგრაფნოე აგენტსტვო")

პეტერბურღი, 17 აგვისტოს. უმაღლესად ნება-რთვა გამოცხადდა 1853 წლის კანონის შეცვლა მოხდეს და მასწავლებლებს უფლება მიეცეს დასახლდნენ ამიერ კავკასიაში თანახმად საერთო დებულებისა.

აღკრძალულ იქმნა მოწაფეთათვის გამართვა სპექტაკლებისა, კონცერტებისა და საღამოების საქველმოქმედო აზრით, მხოლოდ დაერთო ნება სხვა-და-სხვა დაწესებულებათ ამავე საქმეების წარმოებისა, იმ პირობით, რომ პოლიციის მიერ შემოწმებულ იქმნას ბილეთების გასყიდვა და საზოგადოდ შემოსავლისა და ხარჯის ანგარიში.

შეკრებილება ტეხნიკურ საზოგადოებისა დაიწყობა მოსკოვში 23 აგვისტოს.

ათინა, 17 აგვისტოს. ლარისაში დიდი აღელვებაა, რადგან მის ახლო გამოჩნდა 800 კაცისაგან შემდგარი ოსმალოთ რაზმი, ძალით დასაპყრობად მოსამზღვრე დაბა ყარამედერესისა; ღენერალი გრივენი ემზადება პასუხი გასცეს ამ ჯარს...

**პეტერბურღის ბირჟა, 17 აგვისტ.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 94 | 75 |
| მეორესი— — — — | 90 | 62 |
| მესამესი — — — — | 90 | 50½ |
| მეოთხესი — — — | 90 | ½ |
| მეხუთესი — — — | 90 | ½ |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 89 | 62½ |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 | 50½ |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 | 62 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 23 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის— — | 215 | 75 |
| მეორე. სესხის — — | 213 | „ |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 | 12 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205 | 75 | ცენტი |
| პარიჟი — — | 253 | 50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ | „ | პფენიგი |

## შენიშვნა

ტფილისი, 18 აგვისტო.

ახალ სამსაჯულო კანონების შემდგენელნი ხელ-მძღვანელობდენ ერთის ფრიად მაღალის აზრით, როცა ისინი ადგენდენ 1864 წლის უსტავსა: მართლ მსაჯულობა ისეთ საფუძველზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, რომ განმაუმჯობესებელი გავლენა უნდა ჰქონებოდა ხალხის ხასიათზე.

ხალხი, როგორც უმაღლესი წოდება, ისე გლეხობა დროთა ვითარებისა და ამათი ურთიერთ დამოკიდებულობისაგამო მრუდე და ზნეობის დამამახინჯებელ გზაზე იდგა. რაც წინა საუკუნოების ცხოვრების პირობებს არ ეწინააღმდეგებოდა, ჩვენს დროში მავნებელი შეიქმნა; კაცობრიობის განათლება და ცხოვრების მიმდინარეობა განსხვავებულს კალაპოტში ჩადგა. ცხოვრებამ ისეთი საგნები გაგვიხადა თვალ საჩინოდ, რომ აშკარა იყო, ძველი მდგომარეობის დედა-ბოძები უნდა შეცვლილიყო. თუ ამ გვარი ცვლილება მრთელის ჩვენის სახელმწიფოსათვის შეადგენდა აუცილებელ საჭიროებას, მით უმეტესად ჩვენის ქვეყნისათვის, საქართველოსთვის.

წინედ, წარსულ დროებში, ურთიერთი დამოკიდებულობა წოდებათა შორის ჩვენს ქვეყანაში სულ სხვა გვარი იყო, ვიდრე მას შემდეგ, როცა ჩვენი მამულის ბედ-იღბალის ხელმძღვანელობისათვის თავი უნდა დაგვეწებებია. ის მაღალი და კეთილ-შობილი გრძნობა, რომელიც აერთებდა გლეხსა და თავად-აზნაურსა და ჰთესავდა მათ შორის ძმობას და სიყვარულს, ის გრძნობა მოისპო: ნათქვამია, საზოგადო უბედურობა აახლოვებს და აძმობრებს ადამიანებსო. საქართველოს უბედურობა, მამულის მწუხარება ახლოვებდა და მჭიდროდ აკავშირებდა სხვა-და-სხვა წოდებას ერთმანერთან. ერთი და იგივე განსაცდელი მოელოდა მტრისაგან როგორც გლეხის ცოლ-შვილს და ოჯახს, აგრეთვე თავადისას. ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმ სამაგალითო ძმურის ურთიერთ დამოკიდებულობისა ბატონთა და ყმათა შორის, რომლის მსგავს მაგალითს ძვირად ვიპოვით სხვა ქვეყნებში.

მაგრამ მოვშორდით რა გარეგან მტერსა და მუდმივ შიშსა, ჩვენის ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებას სხვა ფერი დაედვა. ბატონთა და ყმათა შორის მოისპო ძველი კავშირის საგანი; მათ შორის დაარსდა დიდი ზღვარი. რა შედეგი მოიტანა ამ მოვლენამ? ორთავე წოდების გარყვნა და ზნეობითი გახრწნა. მეცხრამეტე საუკუნის ბატონ-ყმობის ისტორია ჩვენში შეადგენს ერთს სამწუხარო ფურცელთაგანს იმ წიგნისას, რომელსაც უნდა დაერქვას საქართველოს. ცხოვრება.

როცა ამ მდგომარეობაში ვიყავით, ყმების განთავისუფლება მოგვესწრო. ცხოვრებამ ფერი იცვალა. მრთელი სახელმწიფოს და ხალხის სხეულის ძარღვებში სულ სხვანაირად დაიწყო სისხლმა მუშაობა. მმართებლობამ სცნა, რომ უმთავრესი საშვალება ძველის ცუდის ხასიათების მოსპობისა უნდა იქმნეს მართლ-მსაჯულობის

---

**„დროების" ფელეტონი, 19 აგვისტ.**

### ზოგი ჩვენი ამაოდ-მორწმუნების წესები.

ჩვენს ხალხში, ბევრ-ნაირი ამაოდ-მორწმუნოებაა გავრცელებული და ეგ მიღებული თითქოს მართლა-და სასარგებლო სარწმუნოებრივი კანონები იყოსო.

ზოგიერთს ცრუ-მორწმუნოებაში გამოიხატება ცოტათი ძველი კერპთაყვანის სარწმუნოებრივნი ნიშნები იმ დროისა, როდესაც ჩვენს ხალხს ჯერ ქრისტიანობა არ მიეღო. ამიტომაც ჩვენი ხალხის ეხლანდელი ცრუ-მორწმუნოება ეკუთვნის იმ დროსა, როდესაც ჩვენში წარმართობა იყო მოფენილი, მერე კი ქრისტიანობის გავრცელების ქვეშ შეიცვალა. ამ გვარ დროის ნაშთენს წარმართობას ეკუთვნის რამდენიმე ლექსები, რომელიც დღეს ჩვენში დარჩენილა.

საქართველოს ერში, როგორც თვით ჩამომავლობით ქართველებში, აგრეთვე სხვა ხალხებში, რომელნიც ქართულად ლაპარაკობენ ეს ამაოდ-მორწმუნოება და ლექსები ერთ-ნაირად არის გავრცელებული.

ქართველებში რომ ავად გახდება ვინმე ყვავილით, წითელით, ქუნთრუშით, თვალის ტკივილით და სხვა ამ გვარებით, ისინი ამ ავადმყოფობას ბატონების (ანგელოზების) საქმედ რაცხავენ და ყოველთვის საკუთარის წესებით უვლიან ავადმყოფებსა, თითქოს სარწმუნოებრივი კანონების მოთხოვნილება იყოსო. ყვავილით თუ გახდა ვინმე ავად, ყველაზე საფრთხილოდ ამასა სთვლიან და ხალხიც ერიდება; ერიდებიან, როგორც შორეული და ახლო ნათესავები, აგრეთვე შინაურებიც. წითელასა და ქუნთრუშას ისე არ ერიდებიან. ამ სატკივრებს უფრო ადვილად სახდელად სთვლიან. თვალის ტკივილსა და ჩუთ-ყვავილს კი უფრო ერიდებიან; ამ ჩუთ-ყვავილისა უფრო იმიტომ ეშინიანთ, რომ განაწყენება იცისო. არის კიდევ ზოგიერთი ისეთი წვრილმანი ავადმყოფობა და მუწუკეულობა, რომლებსაც ისე ერიდებიან, რომ ახლოც არ ვინ ეკარება, თუ არ თავის ლეიბლი ახლო ნათესავი.

როდესაც ზემოდ ხსენებული ავადმყოფობა და სნეულება გაუჩნდება ვისმე, მოუმზადებენ სუფთა ლოგინს და ჩააწვენენ შიგა. ზეიდან დახურავენ ფარჩის საბანს, ან დიბას გადააფარებენ, დიბა თუ არ იქმნება, ყანაოზსა, ან ყალამქარს და სხვა ამ გვარს ფარჩეულებით მორთულს საბანსა. ავადმყოფის მახლობ კედელზედ ჩამოჰკიდებენ რამე ფარჩის ნაჭერსა და ზედ იმ ნაჭერზე გადმოაფენენ ფერადს სხვა-და-სხვა ფარჩის ნაჭრებსა. იქავე ავადმყოფის გვერდით გაჰფენენ სუფრასა, ან სხვა საფენსა, ზედ დაალაგებენ სხვა-და-სხვა ხილსა, ყვავილებსა და სხვა ამ გვარებს; იტყვიან ეს მორთულობანი ბატონებს იამებათო. უკმევენ გუნდრუკსაც—„ბაზმას", რომელსაც ესე ამზადებენ: რამდენიმე კაკლის ლებანს, ჩაჰყრიან ფილში, დაურევენ ახალ ბამბას და ორიოდ მყინვარე შაქრის ნაჭერს. ამეებს აურევენ ერთად და სუფთა ფილთა ქვით დანაყვენ კარგად; შემდეგ დანაყილა ამოიღებენ და თითის ოდენა კოშტებს გააკეთებენ; თითო კოშტ ბაზმას თითო სიპს ქვაზე დასდებენ და სახლში ჩამოამწკრივებენ ირგვლივ და ცეცხლსაც მოუკიდებენ. ამის მოსამზადებლად ერთ წილს ნიგოზს ხმარობენ, ორ წილს ბამბასა და ერთ წილს შაქარსა. ბაზმას გარდა იციან კიდევ

რიგიანს გზაზე დაყენება; მართლ-მსაჯულობა უნდა ყოფილიყო ერთ უმთავრეს საგნად ხალხის ზნეობის გაუმჯობესობისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დედა-აზრი რედაკციონური კომმისიისა არ აღსრულდა; 1864 წლის წესდებულობამ სრულიად გარყვნა ჩვენი ხალხი ზნეობით, დასთესა შური გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის, დაჰბადა ძალადობა, შური, ცრუ ფიცი და სხვა ამ გვარი საზიზღარი მოვლენა.

ძალიან ძვირად მოხდება ხოლმე, რომ გლეხმა აჩვენოს სასარგებლოდ თავადისა, რაგინდ სიმართლე უნდა ჰქონდეს თავადს. ასე რომ განხეთქილობა ორთა წოდებათა შორის ღებულობს საშიშ ხასიათს.

მოსპობა ამისა შეიძლება: 1) ამ წესდებულობის მუხლების შეცვლით, რომელნიც არ ეთანხმებიან ჩვენს ცხოვრებას, და რომელთა შესახებ უკვე იყო ჩვენს ჟურნალ გაზეთებში მოხსენებული; ამ ვალდებულებას, იმედია, აღასრულებს სენატორი ბერი, რომელიც გვესტუმრა და რომლის აზრს ამის შესახებ, უეჭველია, მიიღებს სახეში ახალი კომმისია; ამ კომმისიას მინდობილი აქვს 1864 წ. წესდებულების გადამუშავება; 2) გამიჯვნის დაჩქარებით; 3) დაჩქარებით გლეხებისაგან მამულის შესყიდვით და 4) სასამართლოებების რიცხვის (სუდების) განმრავლებით.

მხლანდელი მოსამართლენის რიცხვი ვერ აკმაყოფილებენ მეოცედ მოთხოვნილებას ხალხისა. რა თქმა უნდა მართლ-მსაჯულობაზეც ცუდი გავლენა აქვს ამ გარემოებას.

## დღიური

კახეთიდამ მოგვივიდა ერთ პატივცემულ პირისაგან გაზეთში დასაბეჭდად, რომ ისე ამ საშინელ გოლვის დროს თითქმის მთელს კავკასიის მხარეში არ მოელოდნენ მადლიან წვიმას, როგორც კახელები მოელიან სენატორი ბერისაგან სუდების რევიზიასო. ჩვენ იმედი გვაქვსო, იწერება ეს პირი, რომ საქმეების გარჩევა არ იქნება მარტო ფორმალურის მხრით, როგორც ხდებოდა დღემდის; თუ კი საქმის წარმოებას ექნება მიქცეული ჯეროვანი ყურადღებაო, ეს რევიზია ბევრს უწესოებას აღმოაჩენსო.

გამოჩნდება, რომ უბრალო საქმე ათ-ათ წლობით გაუთავებელი რჩება ჩვენ სუდებშიო, შევატყობთ, რომ ძლიერის ხელისაგან ხშირად უძლური დაჩაგრულია, რაც უნდა ეს უკანასკნელი მართალი იყოსო, დავინახავთ, რომ ბევრი ქართველის მამულები უმეტეს ნაწილად ას თუმნად ღირებული, ხუთ მანეთში გარდასულა ვაჭრების ხელში,—და ბევრს სხვა ამ გვარებსაო...

ამ შემთხვევაში თელავის სასამართლო მეტად კოჭლობსო.—ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ სენატორი ბერი ყველა ამაებს უმთავრეს ყურადღებას მიაქცევსო.

* * *

ტფილისში ხმა არის გავრცელებული, რომ 14 ამ თვისას კოჯრის გზაზედ, ოქროყანის მახლობლად, კოჯრიდგან ტროიკით მომავალს კავკასიის ფოჩტის სამართველოის უფროსის თანაშემწეს, დ. ს. ს. აბრამოვიჩს, დასცემიან ექვსი ვიღაც უცნობი მცარცველები, როგორც ამბობენ, თათრები. ბ. აბრამოვიჩისთვის წაურთმევიათ ზემო ტანისამოსი. ამბობენ, რომ უკან დაბრუნებულ ტროიკას დაუფთხია ეს ყაჩაღები, და იქვე ხევში დამალულან. ამ ტროიკით ბ. აბრამოვიჩი ჩამოსულა ქალაქში.

* * *

ხმოსანმა ტფილისის რჩევისა ბ. ალადათოვმა ქალაქის სამმართველოში შეიტანა წინადადება, შესახებ იმასა, რომ გალავინის პროსპექტზედ ჩარიგებული ხეები უწვიმობის გამო მოკლებულნი არიან რწყვას, რომლის წყალობითაც ჰკარგავენ ისინი ფერს და სიცოცხლეს და ხშირად სრულიადაც ხმებიან,—ამისათვის, არ იქნება მეტიო ამ გვარი განკარგულება ქალაქის რჩევისაგან; ა) რომ ხეების ძირში პატარა საგუბრები გაიწმიდოს მტვერისა და ფოთლებისაგან და ბ) უწვიმობის დროს დღეში ერთხელ მაინც მორწყონ ხოლმე. სამმართველომ ნამდვილად სცნა ეს წინადადება და 16 აგვისტოს ყველა ხეები გალავინის პროსპექტზედ მორწყული იყო. ამასთანავე თავის ჩვენებაში ბ. ალადათოვი იხსენიებს იმასაც, რომ სახლის პატრონები თავის სახლების გადაკეთების ან აშენების დროს ახდენენ ხეებს და შემდეგ აღარა ჰფიქრობენ იმათ ხელ ახლა მოშენებაზედ და ამ გვარად ქუჩებსაც ამახინჯებენ.

* * *

„კავკაზში" დაბეჭდილია ცნობა მთავრობისა: მაღალ-ყოვლად სამღვდელო საქართველოს ექსარხოსის იოანნიკის მოსკოვის და კოლომენის მიტროპოლიტად დანიშვნის შემდეგ, ყოველ გვარი მიწერილობანი საქართველოს უწმინდეს სინოდის კანტორის საქმეებზედ დღემდის წარმოებულნი სხვა-და-სხვა დაწესებულებებში და პირებთან ყოვლად უსამღვდელო იოანნიკის სახელით დღეიდან, ახალის ექსარხოსის ადგილზედ მოსვლამდის, იწარმოებიან უწმინ. სინოდის კანტორისაგან.

* * *

ანასტასიის ქალების პროგიმნაზიის მმართველობა, გორში, აცხადებს, რომ 1 ენკენისთვიდამ პროგიმნაზიაში გაიხსნება II კლასი; 25 აგვისტოდამ დაიწყება მასალები ეგზამენები და გაგრძელდება 15 ენკენისთვემდისა. მოსამზადებელ კლასში მიიღება ქალები 8 წლიდამ 12 წლამდე უეგზამენოდ.

* * *

ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით 15 ამ თვიდამ კოჯრის გზაზედ ღამ[illegible] დაყენებული იქნება დარაჯები, რადგან ამ გზაზედ ხშირი მოგზაურობაა ამ ჟამად და ავაზაკობაც ხდება.

* * *

გავიგონეთ, რომ დაბა სურამში მცხოვრებ ორჯონიკიძეების ოჯახში ბევრი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები მოიპოვებაო.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ მომავალ ენკენისთვის პირველიდგან, ტფილისის მიხაილოვის სახელოსნო სასწავლებელში, მთავრობის ნება დართვით გაიხსნება კვირა უქმე დღე სასწავლებელი, საბაასო, ყოველთა მორწმუნეთა, წოდებათა, ასაკთა ყრმათათვის.

ეს შემოღება, რა თქმა უნდა, ფრიად სასიამოვნო და მოსაწონია, თუ კი მას ჯეროვანი ყურადღება ექნება მიქცეული.

* * *

გაზეთს „რუსის კურიერ"-ს სწერენ ფოთიდამ რომ ამ ჩვენმა ცეცხლისაგან მზღვეველ საზოგადოებამ სრულებით გაგვირყვნა ხალხიო. ადგილობრივი მოხუცებულების სიტყვით სანამ ეს საზოგადოება არ დაარსდებოდა კავკაზიაში, ცეცხლი ძალიან იშვიათი მოვლენა იყოვო; ეხლა კი ერთობ ხშირად იწვის ამ საზოგადოებაში შეტანილი სახლები; რომელნიც კი არ არიან შეტანილი საზღვევლად ისინი ძველ ჩვეულებაზედ დგანან და არ იწვიანო. რომ კავკაზიაში საზღვევლად შეტანილის სახლების ცეცხლის წაკიდება ერთ უმთავრეს გასამდიდრებელ საგნად გახდა, ამას ყველა დაამტკიცებს ვისაც კი, ერთი წელიწადი მაინც არის, უცხოვრია აქაო. რამდენადაც ეს უწესო მოქმედება გამჯდარი აქვსთ ქალაქის მცხოვრებლებს სისხლში და ხორცში, ამას ადვილად დაინახავთ შემდეგის მაგალითიდამაო.

---

შაქრის წყლის მომზადება, მით ავადმყოფის ლოგინის გარშემო დანამვა. ხშირად კიდევ მუხლებს მოიყრიან ავადმყოფთან და შეჰსთხოვენ ღვთისმშობელს, ავადმყოფი მოგვირჩინეო. ხან მშობელნი თავის რძითაც მოურწყვენ ავადმყოფს ლოგინს. ყველა ამეებს სჩადიან მაშინ, როდესაც ავადმყოფი მეტად დაღონდება და დაიწყებს წუხილს. ამ გვარ ავადმყოფს ყოველთვის არიდებენ ცხელს რასმე; მის ოთახში ვერც ცხელს საჭმელს შეიტანენ, ვერც სამოვარსა, ვერც სარეცხ დარეცხენ, ვერც ჰკერვენ და ვერც გამოსჭრიან. მაღლა ლაპარაკს და ბილწს სიტყვებს ძლიერ ეკრძალებიან, რომ „ბატონებს" არ ვაწყენინოთ და მორიდებითა და პატივისცემით იქნება მისი გული მოვიგოთო.

ამ გვარ რიგების ასრულებასთან სიმღერებიც იციან, რომელთაც ეწოდება „იავ-ნანა". ამ სიმღერის ხმა (მელოდია) ძალიან გავრცელებულია და ამ ხმაზედ ქართულს ბევრ ლექსსა მღერიან (ზოგი აქ მომყავს). „იავნანა", ეს ქვემოხსენებულია:

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!
შვიდნი ძმანი წამოვედით, *)
შვიდ სოფელს მოვეფინენით,
შვიდგან დავუშვით კარავი,
გავშალეთ ხალი ხალიჩა,
დაბძანდა ბატონის დედა,
გვერდთ უდგა ჩარხის აკვანი,
შიგ უწევს ბატონის შვილი,
ეუბნებიან ნანასა,
ეს აკვანი ხარატული,
შიგ ყმაწვილი დახატული,
მოვის პერანგი აცვია,
დიბის საბანი ახურავს,
მარგალიტისა კბილები,
ატლას ბაბთის არტახები,
უუთნისა პირს-სახურავი,
ვარდი ფეხამდინ უსხიათ,
გვერდთ უ ხედს ანგელოზები,
ეუბნებიან ნანასა,
მწყალობლებო, იავ ნანა
შვილის გამოგზავნილებო,
ჩვენგან ქება და დიდება,
თქვენგან შვება ავადმყოფისა,
ბატონებსა სუფრა ნებავთ,
ფარჩა-ფურჩა მოფენილი,
გარეშემო რძით მორწყული,
იავნანა ვარდო ნანა, იავ ნანინაო!

*) ყველა ამ სტრიქონების ბოლოს თან დაატოლებენ: „იავ ნანინაო". ხოლო დანარჩენს ორ ლექსში პირველს:—„ედემ ყვაოდაო", მეორეს:—„მზევ შინ შემოდიო" და მესამეს—ისევ: „იავ ნანინაო".

ეს „იავნანა" გრძელია, რომლის სრულად შეკრება მე ვერ მოვახერხე. როგორცა ვსთქვი, არის კიდევ „იავნანის" ხმაზე სამღერალო ლექსები, მაგალითად აქ ერთი მომყავს.

ედემისა მინდორზედა ედემ ყვაოდაო,
იისა და ვარდის ბაღში ედემ...
სისვი ცხენი მოვგოგავდა,
ზედ რომ იჯდა ვაჟი-კაცი,
უკან მოზდევს კოჭლი ქალი,
ბიჭო ჩემკენ მოიხედე,
შენ კოჭლობით რაზედ მწუნობ,
ვაჟი შვილებს კარგს დივიზდი,
ჯამ-ჭურჭელს კარგა დაგირეცხ,
კოვზებს ჩაგიჩხრიალებო,

კიდევ „იავნანას" ხმა, რომელსაც მელოგინეს უმღერიან და ჰქვიან „მზევ შინაო".

მზევ შინაო მზევ შინაო მზევ შინ შემოდიო!
იაგუნდის მარანშია, მზევ შინ....
ღვინო დგა და ლალი გჭვისო,
შიგ ალვის ხე ამოსულა,
ნორჩია და შტოსა შლისო,
ზედ ბულბული შემომჯდარა,
გასაფრენად ფრთასა შლისო,
მზევ შინა და მზევ გარეთა,
მზე დაწვა და მთვარე შობა,
ლალმა იაგუნდი შობა,
აქ ვაჟი დაბადებულა,
დუშმანსა ქალი ჰგონია,
ვაჟის მამა შინ არ არის,
მალაქა არის აკვნისათვის,
აკვნის თარალისათვის,
საბან-არტახ-ზეწრისათვის,

...ერთხელ, ავადმყოფობის გამო, ...ება კორრესპონდენტი, მე მო... წოლა ქუთაისის სამხედრო სა... ავადმყოფოში. ჩემთან ერთად იყო ...ლომბრივი მცხოვრები ბ. დ. ერთ ...მეს, 12 საათზე შეიქნა ზარების ..., გამოეღვიძა დ—ეს, და მითხრა ...ელაც ყასბის დუქნები იწვისო. ...ღესაც მე ვკითხე—რითი იცით ესა ...ქო?—მან მომიგო, რომ ეს დუქ...ნები ძველი და მზღვეველ საზოგა...ებაში შეტანილნი არიანო. მეორე ...ღეს მართლა შევიტყეთ, რომ ის ...ქნები დამწვარიყო“.

...ველა ეს თუმცა სამწუხაროა, მაგ...მ მართალიცაა ამ ნაირი შემთხვე...ბი ჩვენს ტფილისშიაც იკითხონ ...ტა.

* * *

გამოვიდა „ივერია“ VII და VIII ...ნი ერთად, რომლის შინაარს შე...ვენს:

I ისტორიული სურათები, (ქართველი ...)—მღ. დიმ. ჯანაშვილისა. II ...ს (ლექსი)—სილოვანისა; III ციხე ...ნიდამ გატეხილი,—(რომანი) (შემ...); IV ჩანჩქარი (ლექსი) თ. რაფ. ...ისთავისა; V წერილი ჩვენ საზოგა...ბრივ მოღვაწეთა მიმართ—ბ. მაია...ლისა. VI მოუმკალი ყანა (ლექსი)— ... რაფ. ერისთავისა; VII ნახული და ...ონილი; VIII დედაბრის მოთქმა (...ლექსი)—თ. რაფ. ერისთავისა; IX ...ნური მიმოხილვა; X შალარი და ...სი თხზულება „უძველესნი თქმულე...ბი კავკასიაზე“;. . XI) პოლიტიკური ...მოხილვა; XII) განცხადებანი...

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

ბათომი, 15 აგვისტოს. რედაქცია ...ვე წაიკითხავდა „ბათომის ფურ...ლში“ ჩურუქ-სუელი კორრესპონ...დენტის ნაწარმოებს, რომლის ავტო..., ავაზაკობის მოსასპობლად ქან...რის მაზრაში, ურჩევს მთავრობას შემდეგ საშუალებას: ჩაუყენოს მან ჯარი სოფლელებს ოჯახებში, რომელნიც იძულებული იქმნებიან არჩინონ ჯარი თავის ხარჯით და გასცენ ის ავაზაკები, რომელნიც მათ შორის იფარვენ თავს და იკლებენ ქვეყანას.

ეს საშუალება, როგორც მოეხსენება „დროების“ მკითხველებს, ახალს მოგონებას არ შეადგენს და სხვა-დასხვა გულმოდგინე ადმინისტრატორების მიერ იყო ხმარებული ჩვენი დალოცვილი სამშობლოის ზოგიერთ კუთხეებში. რამდენადაც მიაღწევს ჩურუქსუელი კორრესპონდენტის ზომა თავის მიზანს, ესეც კარგად ვიცით.

მხოლოდ ბათომელ ჩინოვნიკებს შეუძლიათ ისურვონ ამ უვარგისი საშუალების აღდგენა და ხმარება, რადგანაც მათს გონებას სხვა უფრო მდგომარეობის შესაფერი საშუალება აზრად ვერ მოუვათ. იმ ჭკუის კოლოფს, ბ. კორრესპონდენტს არ მიუღია მხედველობაში არც ხალხის აღშფოთებული მდგომარეობა, არც მისი მატერიალური უკიდურესობა და გვირჩევს ამ გვარს საშუალებას, რომელიც უფრო აალშფოთებს ხალხს და დასცემს მას მატერიალურის მხრით. რაღა ბევრი ვილაპარაკო „ბათომის ფურცლის“ კორრესპონდენციაზე! სრული იმედი მაქვს, რომ მის აზრს არავითარი გასავალი არ ექმნება ბათომის მაზრაში, თუმცა ჩვენ, ბათომელები, ბევრი უწესოების და უმზგავსოების მოწამენი ვართ.

ეხლა ვიტყვი ორიოდე სიტყვას თვით ავაზაკობაზე. რასაკვირველია მისი შემცირება ადვილად შესაძლებელი იქნებოდა, თუ რომ თვით ადმინისტრაციას არ დაეხლართა მაზრის საქმეები: მიწის მფლობელობა, გარდასახადის დადგენა და შეკრება, მსურველთა სამხედრო სამსახურში მიღება, მოსამსახურე პირთა განწესება მაზრაში,—ყველა ესე და მრავალი სხვა იქმნა აწიოკებული და არეულ-დარეული. ნუ თუ გასაკვირია, რომ ამ მიზეზების წყალობით გაევრანდეს და ხელი მიჰყოს ავკაცობას ხალხმა იმის მაგიერ, რომ თავი მისცეს მშვიდს ცხოვრებას და მუშაობას?

ბათომის ადმინისტრაციას არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ავაზაკობის შემამცირებელ საშუალებად იხმარება სხვათა შორის, ერთი კერძო ზომა. როდესაც რომელიმე ადგილს იკლებენ ავაზაკები, მაშინ აუცილებლად საჭიროა მათი დატუსაღება. ამისათვის საჭირო არიან კაცები. ბათომის ოლქის უფროსს ბატ. სტეფანოვს უნდა ჰყავდეს კანონიერი რიცხვი მილიციონერებისა და, საჭიროებისამებრ ხმარობდეს მათ თვითონ და ახმარებდეს მათ თავის ქვეშევრდომ მაზრების უფროსებს. მაგრამ, როგორც ყველამ ვიცით, ბ. სტეფანოვისთვის კანონიერი რიცხვი მილიციონერებისა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და ნამდვილად კი იმ რიცხვის ნახევარიც არა ჰყავს, თუმცა ჯამაგირები კანონიერი რიცხვისთვის ეძლევა; ეს უკანონო ქცევა ბ. ს—სა ყველას თვალ წინ გვაქვს და გვიკვირს, რომ მთავრობა ყურადღებას არ აქცევს ამ უწესოებას, რომელიც დიდად სასარგებლოა ბ. სტეფანოვის ჯიბისათვის და დიდად მავნებელია მისი ოლქისთვის.

დ—შ.

## პასუხი პეტრე იოსელიანისაგან *)

დავიგვიანე პასუხი ბესარიონ ზომართელის წერილზედ, რომელიც არის გამოცხადებული ბატონო რედაქტორო თქვენს პატივცემულს გაზეთში № 158 დავიგვიანე იმიტომ რომ პირველათ მე ვეძებდი საქმეს ამ უფალი ბესარიონ ზომართელის ჩვენს დეპუტატ სობრონიეშიდ სადაც მართლა მე ვმსახურებ სეკრეტრის თანაშემწედ და მერმედ მე ვეძებდი მთელს აქაურს ღუბერნიაში ამ პატიოსანს ზომართელს—არც საქმე აღმოჩნდა ოდესმე დაწყებული კანცელარიაშიდ და არც თვით ეს უფალი ბესარიონ ზომართელი არა ყოფილა და არც არის მცხოვრებლად ჩვენს ქვეყანაშიდ.

ვილაცა მწერალს იქნება გაუგონია რომ ოდესმე ზომართელს და არა ბესარიონს საქმე ქონია დეპუტატ სობრონიეშიდ და ეს წუხს საბრალო მწერალი ქვეყნისთვის ამბობს თავის სტატიაში მე კი არა ვარ ასე შეწუხებულიო სხვაც მრავალნი მაძიებელნი აზნაურების ღირსებისა არიან შეწუხებული 1853 წლიდამ მარკებს მახდევინებსო ისიც ვერ შეუტყვია მარკები რომელის წლიდამ არის გამოსრული საბრალო მწერალი შეწუხებულა გაფუჭებული თავს ხლაფ დასხმული სწუხს არა ამისათვის არამედ თავისათვის და მერმედ ჩემთვის რომ მე დეპუტატ სობრონიეშიდ ვმსახურებ ეძებს ჩემს ადგილს გონია მას რომ ვითომც მძიმე მოთხოვნილება არ აწევს ჩემს თანამდებობას მწერალი გამოგდებული ერთის კანცელარიიდგან პოდლოლისათვის დაზარმაცობისათვის ეძებს ეს უსაქმო უშრომოთ პურს და ვერსად მოუნახავს ცოტა არ იყოს ამ ზომართელს სხვაზედაც გული შეუწუხეს ზოგიერთებმა ახლანდელის მარშლების და სეკრეტრის აღმორჩევისათვის „კაცმა ცხენს ვერ მოერია დ უნაგირს მტვრევა დაუწყოო. Дураку *вечная* память.

პეტრე იოსელიანი.

*) ეს წერილი მივიღეთ ჩვენ, როგორც თითონ წერილიდამ სჩანს, ქუთაისელ დეპუტატ სობრანიის მოხელეთა ერთ წარმომადგენელთაგან და უკვლის შეუცვლელად ვბეჭდავთ მას, იმიტომ, რომ ავიცილოთ თავიდამ მუდმივი საყვედური:—ქვეყანაში სახელს გვიტეხენ და პასუხს არ გვიბეჭდენო.

რედ.

---

მზე შინაო მზე შინაო მზევ შინ.......

...ამ ქვემოხსენებულ „იავნანას“ გა...წყენებულს ავად-მყოფს უმღერიან, ...უ მეორედ შექცეულს, რომელსაც ...ენში „შექცეულ-განაწყენებულს“ ...ოდებენ:

...მელიქისა ქალაშია, იავ ნანინაო!
...ვერხვი ვერხვსა ეხვეოდა,
ბატონების წყალობაი,
ავად-მყოფს ეფინებოდა,
ბატონების მამიდაო,
შენი ნახვა მოგვინდაო,
შენ მოგვირჩენ ავად-მყოფსა,
...ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!.

ჩვენში იციან ხატებშიაც წასვლა ... ლოცვები. უვავილ-წითელისათვის ...ყურნებლად სწამთ ხატები, მაგა...თად ქალაქში წმ. ბარბალე, სადაც ...უწყვეტლივ დადის ხალხი ხოლმე. ...როდესაც გახდება ვინმე ავად მაშინა... ...ე შეუთქვამენ წმიდა ბარბალესა, ...მ თუ შენის მადლითა და ძალით კარგად გაგვიხდა ავად-მყოფი, მაშინათვე შენს კარზე მოვალთ და ვილოცავთო. ზოგი შვიდ ჯერაც აღუთქვამს ხატის კარზე მისვლასა. წმ. ბარბალეს ეკკლესია არის ერთ ტფილისის მახლობ სოფელს ნავთლუღში და უწოდებენ ზემო წმ. ბარბალესა და მეორე ამაზედ უფრო მოშორებით, რომელსაც ქვემო წმ. ბარბალეს უწოდებენ. ავად-მყოფის მშობლები, თუ თვით ავად-მყოფი იქ წასვლისას—ქალები თავზე შემოიკვრენ წითელს ხელსახოცსა, გულზე წმ. ბარბალეს შანას ჩამოიკიდებენ და წავლენ ეკკლესიაში. მრავალი შიშველა ფეხით მისვლას აღუთქვამენ და ისეც წავლენ ხოლმე. ეკკლესიას გარეშემო ჩოქვითაც ორჯერ სამჯერ შემოუვლიან.

ვისაც თვალები ასტკივდება, ამის მიზეზადაც წმ. ბარბალე მოჰყავთ და შეუთქვამენ, რომ ოღონდ ეს მოგვირჩეს და ამდენჯერ მოვალთ შენს კარზეო. მართლაც, მორჩება თუ არა ავად-მყოფი, წაიყვანენ სალოცავად. ამას გულზე შეაბამენ სანთლის ან ვერცხლის კაკლებსა და წმ. ბარბალეს შანასაცა; ამაებს მოხსნიან და ხატს დაუწყობენ წინ. ზოგი ნართს მიიტანს და ეკკლესიას შემოავლებს ჩოქით, და ბამბას თუ მოიტანენ, ხატს დაუდებენ. მღვდელს პარაკლისს ახდევინებენ, ხატის წინიდამ მიწას აიღებენ და შუბლზედ და თვალებზედ წაისომენ, ხატს წყალში გააბანვინებენ და „ნაბანს“ გამოართმევენ მღვდელს, რომელსაც დალევენ, სახეზედ წაისომენ და თანაც წამოიღებენ. სამღვთოდ მიყვანა იციან ცხვრებისა და მამლებისა. მრავალნი რჩებიან ხუთ ექვს ღამობითაც და უთევენ.

თუ ვინიცობაა, ან მარხვაა და ან მღვდელი არ დახვდათ ეკკლესიაში სამღვთოს დაკვლას ვერ გაბედვენ, მხოლოდ ცხვარს ყურს შესჭრიან და გამონადენს სისხლს ჯვარედინად შუბლზედ წაისმენ, მამალს ბიბილოს შესჭრიან და შემდეგ ორივეს ეკკლესიის გალავანში გაუშვებენ, თვით კი, ლოცვის შემდეგ, წამოვლენ სახლში. ამაებს გარდა იციან კიდევ თეთრის ან წითელის პერანგებისა და ხალაფების ჩაცმა, რომელსაც ჩაიცმენ და იმდენს ხანს ატარებენ, ვიდრე ხატში არ წავლენ, და როცა მივლენ, ხატის წინ გაიხდიან და იქავ ფეხ ქვეშ დაჰყრიან.

ქართველი ხალხის აზრით, წმ. ბარბალე „ბატონების“ მამიდა არისო.

თვალის ტკივილის ხატი ქალაქში კვირაცხოვლის საყდარი მიაჩნიათ. დღეს ეს საყდარი დაქცეულია აგერ ათი წელიწადი მეტი იქნება და იმყოფებოდა ანჩისხატის ახლოს (ფომინის ქუჩაში). დღეს გალავნის კარზე ხატია, რომლისაც წინ, ხშირად, დანთებულს სანთელსა ნახავთ და წმინდა სანთლის კაკლებსა. დღევანდლამდე სოფლებიდამაც მლოცველები მოდიან ამის კარსა.

ზ. მთაწმიდელი.

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარაძევიჩი და ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ზასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ზასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი და დანიელ-ბეგოვი — მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ზასუტოვი — ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი — მარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ზასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი — მარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ზასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი — მარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ზასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი — მარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

გ. ოსელიონისა და რ. რეცოლდის პანსიონში და პროგიმნაზიის კურსის სასწავლებელში იღებენ ყმაწვილების პირობით ყველა საშუალ სასწავლებლებში მოსამზადებლად. ფასი ზომიერია.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ზურგენბეგოვის სახლებში, № 81-ი. (5—2)

## მაღაზია

### სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქავე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—10)

მოსეს ვართანიანცის

## სტამბაში

მიღებულია ახალი რუსული, სომხური და ბევრი სხვა ენების შრიფტიც. სხვათა შორის მიღებულია

**ქართული შრიფტიც.**

მიიღება ყოველ გვარი შეკვეთა — ბეჭდვა წიგნებისა ჟურნალ-გაზეთებისა და სხვ. (5—5)

დაიბეჭდა და ისყიდება

## ყურანი

[illegible]

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

## ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ

Издаваемый въ г. Тифлисѣ
(годъ второй)

Открыта полугодовая подписка на журналъ съ 1 Іюля 1882 г. по 1 января 1883 года

**Цѣна за полгода 6 руб.**

Кромѣ того можно подписаться на 3 м-ца 3 р. 20 к. на 1 м-цъ 1 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ мѣсяцъ еще 3 руб.

Подписка принимается въ г. Тифлисѣ въ Администраціи журнала, Сололакскаа улица д. № 10 и въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. И. Анисимова. (6—5)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე ისყიდება:** პარუსანა 40 კაპ. დაწყვებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—99)

ახალი ქართული

## კარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.
**ხატაური** — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

**ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე**

შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. პეტრესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

### მწყემსის სტვირი

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის
სკოლაში და შინ საკითხავად
ალაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი (10—8)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### მამულის

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

[illegible]

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

### ისყიდება

ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

### ტაქსის

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| **გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის** | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის | „ | 1 გირ. | 3½ |
| მესამის | „ | 1 გირ. | — |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | 1 გირ. | 4 კ. |
| **ჯვარის-მამის პური:** | | | |
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ „ | 1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | 1 გირ. | 4½ |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 8 კ. |
| მეორის | „ | 1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | 1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 9 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველი ხარისხის | — | 1 გირ. | — კ. |
| მეორის | „ | 1 გირ. | — კ. |

# თეატრალური განცხადება

15 სექტემბრიდამ დაიწყება ქართული თეატრალური სეზონი. უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ავტორებს და მთარგმნელებს, ვისაც კი მოეძევბათ პიესები გამოგზავნონ 1 სექტემბრამდის რადგან მთელი სეზონის რეპერტუარი გამოცხადებული უნდა იყოს წარმოდგენების დაწყებისათანავე; ეს დაჩქარება მით უფრო საჭიროა, რომ 1 იანვრამდის 1883 წლ. პიესების ცენზურაში გატარება შეიძლება აქვე, ტფილისში, მას შემდეგ კი უნდა გაიგზავნოს უმაღლეს მთავრობასთან, და იმისათვის რომ ეს დიდი დაბრკოლება, ქართულ თეატრის შესახებ, თავიდამ ავიცილოთ, ჩვენ კიდევ ვიმეორებთ ჩვენს თხოვნას, რომ პიესები რაც შეიძლება მალე გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ въ редакцію „Дроэба". Константину Семеновичу Месхи.**

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ვისაც კი სურს ქართულ დრამატულ დასში დრო-გამოშვებით მონაწილეობის მიღება ან სურს შემოვიდეს სამუდამო მოთამაშედ, შეუძლიან ამავე ადრესით მოგვმართოს პირობების შესატყობლად.

ძველ მოთამაშეთ ვაუწყებთ, ვისაც სურსთ, შეგვეკრან კონტრაკტით იმ პირობებზე და წესებზე, რომელნიც დამტკიცებულნი არიან ქართული დრამატული საზოგადოებისაგან, პირველ სექტემბრამდის; რომელიც კი ამ ვადამდე არ შეგვეკრება კონტრაქტით, შემდეგში აღარ იქნება მიღებული ქართულ დასში.

მოთამაშეთა სახელ-გვარი, რეპერტუარი, აბონიმენტი, წარმოდგენების დღენი და თვითონ თეატრი, თუ სად გაიმართება წარმოდგენები — გამოცხადდება 1 სექტემბერს.

ქართული თეატრის საქმეთა გამგენი { ვ. აბაშიძე. / კ. მესხი.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Августа 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი